



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1943
05/12/2018

ქალაქი ბათუმი

1943-05-4-201812051448



ქეთევან დევამის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელისა და ასმათ კონცელიძის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის წყალტუბოში მივლინების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ქეთევან დევამის 2018 წლის 03 დეკემბრის №3447-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვბრძანებ:

1. ქეთევან დევამე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელი და ასმათ კონცელიძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მივლინებული იქნენ წყალტუბოში, გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტებთან სოციალური პოლიტიკისა და ბავშვთა დაცვის საკითხებს, 2018 წლის 6 დეკემბერს.

2. წყალტუბოში გადაადგილება მოხდეს ავტომანქანა მიცუბიში პაჯერო იო - სახელმწიფო ნომრით UGU-828 და გამოეყოს 40 (ორმოცი) ლიტრი ბენზინის საწვავი.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულმა სამსახურმა (მ. ბახტაძე) უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების (ავანსის სახით) ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვარდმანიძე ჯუმბერ

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

